სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2223874			greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე, 3354		0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

				ngujaraidze@greenalt.org irmamakhatadze2017@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი 2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #32 0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #34
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	+995(32) 2 11 20 23 + 995(32) 2 47 01 01			info@mepa.gov.ge info@eiec.gov.ge
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ქმედების განხორციელების დავალება.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს მოსთხოვა 2023 წლის 5 ოქტომბერს ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა მწვანე ალტერნატივას აცნობა, რომ საჯარო განხილვის სხდომის აუდიო ჩაწერა ხორციელდება ოქმის სისწორის უზრუნველყოფის მიზნით და გადასცა მხოლოდ საჯარო განხილვების შესახებ ოქმები.

“მწვანე ალტერნატივამ“ განუმარტა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, რომ ითხოვდა საჯარო განხილვის აუდიოჩანაწერს, რომელიც არის საჯარო უწყებაში დაცული საჯარო ინფორმაცია და ორგანიზაციას აქვს მისი მოთხოვნის უფლება.

პასუხად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა „მწვანე ალტერნატივას“ აცნობა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით შემუშავდა და დამტკიცდა „საჯარო განხილვის წესი“, რომელიც ადგენს საჯარო განხილვის ჩატარების, მასში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან განსხვავებულ სპეციალურ წესებს. „საჯარო განხილვის წესი“ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ფარგლებში საჯარო განხილვის ოქმის გამოთხოვის და მასზე შენიშვნების წარმოდგენის შესაძლებლობას, ხოლო საჯარო განხილვის აუდიო-ჩაწერა ხორციელდება ოქმის შედგენის უზრუნველსაყოფად.

„მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. თუმცა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არ განიხილა საჩივარი.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ 2023 წლის 9 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს და მოითხოვა - 2023 წლის 5 ოქტომბერს ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ქ. ჭიათურაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის წერილით (გადაწყვეტილება) განმცხადებელს ეცნობა, რომ საჯარო განხილვის სხდომის აუდიო ჩაწერა ხორციელდება ოქმის სისწორის უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო საჯარო განხილვის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში დგება საჯარო განხილვის შესახებ ოქმი. „მწვანე ალტერნატივას“ გადაეცა ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ქ. ჭიათურაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების სხდომების ოქმები და ეცნობა, რომ ოქმების გაცნობიდან 3 დღის ვადაში უფლება აქვს წარადგინოს შენიშვნები.

2023 წლის 17 ოქტომბრის წერილიდან ნათელია, რომ ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გადაწყვიტა მოთხოვნილი აუდიოჩანაწერების ნაცვლად ორგანიზაციისათვის საჯარო განხილვის ოქმები გადაეცა.

მტკიცებულება - დანართი №1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 წერილი.
დანართი №2. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა, განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01/1/2624 წერილი (გადაწყვეტილება).

2. ფაქტობრივი გარემოება

“მწვანე ალტერნატივამ“ 2023 წლის 19 ოქტომბერს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს აცნობა, რომ 2023 წლის 9 ოქტომბრის წერილით ითხოვდა საჯარო განხილვის აუდიოჩანაწერს და არა ოქმს, რომელიც გადაეცა და მოითხოვა 2023 წლის 5 ოქტომბერს ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში ჩატარებული საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერების გადაცემა.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის №01/1/2811 წერილით (გადაწყვეტილება) „მწვანე ალტერნატივას“ ეცნობა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით შემუშავდა და დამტკიცდა „საჯარო განხილვის წესი“, რომელიც ადგენს საჯარო განხილვის ჩატარების, მასში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან განსხვავებულ სპეციალურ წესებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო განხილვის წესის“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ფარგლებში საჯარო განხილვის ოქმის გამოთხოვის და მასზე შენიშვნების წარმოდგენის შესაძლებლობას, ხოლო საჯარო განხილვის აუდიო-ჩაწერა ხორციელდება ოქმის შედგენის უზრუნველსაყოფად. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა, განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 ნოემბრის წერილით (გადაწყვეტილება) განმცხადებელს არ გადმოეცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. თუმცა, ცენტრის დირექტორის განმარტებიდან ნათელია, რომ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დაცულია საჯარო უწყებაში.

მტკიცებულება - დანართი №3. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-121 წერილი;
დანართი №4. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის №01/1/2811 წერილი (გადაწყვეტილება).

3. ფაქტობრივი გარემოება

2023 წლის 20 ნოემბერს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და მოითხოვა:

გაუქმდეს - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01/1/2624 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 განცხადების მოთხოვნა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გადაცემის თაობაზე; და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს დაევალოს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 და 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით განუმარტა, რომ სამინისტრო არ წარმოადგენს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს და შესაბამისად, არ არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო განიხილოს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი; და „მწვანე ალტერნატივას" შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მტკიცებულება:

დანართი №5 ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 20 ნოემბრის ადმინისტრაციული საჩივარი; დანართი №6 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 1 დეკემბრის N 9553/01 წერილი.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01/1/2624 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 განცხადების მოთხოვნა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გადაცემის თაობაზე და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს დაევალოს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 და 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემა.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1.1.სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომელიც არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობას დაქვემდებარებული სსიპ - წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

1.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი).

მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი) ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, რომელიც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობაში, მის მიერ საჯარო უფლებამოსილების კანონდარღვევით განხორციელებაში, რაც სზაკ–ის 5.1 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ შემოწმდეს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 09 ოქტომბრის №23/09/03-121 და 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება.

1.3.ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - ჭიათურაში არსებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის მ) ქვეპუნქტის თანახმად, არის საჯარო ინფორმაცია. ხოლო, ამავე კოდექსის 42-ე მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს.

ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი აუდიოჩანაწერი არის საჯარო უწყებაში დაცული გარემოსდაცვითი საჯარო ინფორმაცია და ჩვენი უფლებაა მისი მოთხოვნა. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მოვალეობაა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა; ხოლო ჩვენი მოთხოვნის შეცვლა სცილდება ცენტრის უფლებამოსილებას.

1.4. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - ჭიათურაში არსებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები - „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია და კონვენციის პირველი, მესამე და მეოთხე მუხლების თანახმად, შეუფერხებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

საგანგაშოა, რომ ამ ინფორმაციის გადმოცემაზე უარს სწორედ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ამბობს, რომელიც დებულების თანახმად, თავის საქმიანობაში ეყრდნობა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის პრინციპებს; და მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა ვებ-გვერდისა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების (ელექტრონული, ბეჭდური, სატელევიზიო და სხვა) გზით6. მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - ჭიათურაში არსებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები - „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია და ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სრულად და დროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

1.5.ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - ჭიათურაში არსებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები - საქართველოს კონსტიტუციის 17.2, 18.2 და 29.1 მუხლების თანახმად, დაუბრკოლებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

1.6 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო განხილვის წესის მიხედვით, „ცენტრის/დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენელი (წარმომადგენლები) უზრუნველყოფს საჯარო განხილვის სხდომის აუდიოჩაწერას, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში – მის ვიდეოგადაღებას“. ეს არ არის ცენტრის წარმომადგენელის კეთილი ნება და/ან ოქმის შედგენის გაადვილების

შესაძლებლობა, როგორც ამას ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და დირექტორი ამტკიცებენ - აუდიოჩანაწერის ამგვარ დანიშნულებაზე არავითარი მითითება საჯარო განხილვის წესში არ არის. აუდიოჩანაწერი დაცული უნდა იყოს უწყებაში, როგორც საჯარო ინფორმაცია და მოთხოვნის შემთხვევაში ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ნებისმიერი სხვა საჯარო ინფორმაცია.

1.7. ასევე, გაუგებარია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პროცედურებისაგან განსხვავებულობაზე მითითება. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანაწესი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსთან შეუსაბამობის შემთხვევაში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის გამოყენების უპირატესობაზე ვერანაირად ვერ შეზღუდავს ჩვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9. მუხლში - „გზშ-ის პროცესში სკოპინგის დასკვნის გაცემა“, აღნიშნულია: „სააგენტო ამ მუხლით დადგენილი წესით იხილავს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადებასა და სკოპინგის ანგარიშს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილ წესთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ნორმები“.

პირველ რიგში, არ არსებობს ამგვარი შეუსაბამობა; მეორეს მხრივ კი, საგანგაშოა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამ დათქმის იმგვარად მცდარ ინტერპრეტაციას გვათავაზობს, რომელიც შეზღუდავდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილებები უკანონოა, რის გამოც ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 და 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადებების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

1.8. სასკ-ის 24-ე, 33-ე პრიმა მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 1 დეკემბრის N9553/01 გადაწყვეტილება (წერილი), რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2.2 სზაკ-ის 177.3 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მაშასადამე, ადმინისტრაციული ორგანოს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ საჩივრდება სზაკ-ის მე-13 თავით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული საჩივრის უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის გზით.

2.3 სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ზემდგომ ორგანოს სზაკ-ის 178.2 მუხლის თანახმად წარმოადგენს - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტრო, რომლის ვალდებულებას შეადგენს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, მათ შორის, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განახორციელა.

2.4 სზაკ-ის 178.1. მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. 178.2. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ხოლო 178.3. მუხლის თანახმად, პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2.5 სზაკ-ის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას, რაც განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არ განახორციელა. შესაბამისად არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები.

2.6 მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა ზემდგომ ორგანოში, თუმცა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით (კონკრეტული ნორმის მიუთითებლად) დასახელებული კანონის მე-11 მუხლის, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების დანაწესების უგულებელყოფით არასწორად მიუთითა, რომ სამინისტრო არ არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო განიხილოს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, 2023 წლის 17 ოქტომბრის N01/1/2624 და 1 ნოემბრის N01/1/2811 წერილების გაუქმებისა და საჯარო ინფორმაციის გადაცემის დავალების თაობაზე და აქედან გამომდინარე არასწორად დაასკვნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილების გათვალისწინებით, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ უნდა მიმართოს სასამართლოს.

2.7 სზაკ-ის 177-180-ე ნორმათა დანაწესიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა წარმოშობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, იგი ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილება მიიღოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე. ამასთან, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს კანონით მინიჭებული აქვს უფლება ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში შეამოწმოს გასაჩივრებული აქტი როგორც მიზანშეწონილობის, ისე კანონიერების თვალსაზრისით, რაც მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელებულა და რის გამოც სახეზეა გასაჩივრებული ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ბათილობის საფუძვლები.

2.8 სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☒	

სარჩელის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე??	
მტკიცებულება:	

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოს გარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☒	მტკიცებულება: გთხოვთ, იხილოთ დანართი 5. და 6.
არა	☐	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულად განჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოს გარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 9 ოქტომბრის № 23/09/03-121 წერილი - 1 (ერთი) ფურცელი;
2. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის № 01/1/2624 წერილი - 2 (ორი) ფურცელი;
3. ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას” 2023 წლის 19 ოქტომბრის № 23/09/03-122 წერილი - 2 (ორი) ფურცელი;
4. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის წერილი - 2 (ორი) ფურცელი;
5. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 20 ნოემბრის ადმინისტრაციული საჩივარი - 6

   (ექვსი) ფურცელი;
6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 1 დეკემბრის N 9553/01 წერილი - 2 (ორი)ფურცელი;
7. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 (ორი)ფურცელი;
8. რწმუნებულება - 2 (ორი) ფურცელი;
9. სახელმწიფო ბაჟის (ასი ლარი) გადახდის ქვითარი; 1 (ერთი)ფურცელი;

ფურცლების საერთო რაოდენობა: 20 ფურცელი.

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელი	11.12.2023
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

From:	Nino Gujaraidze (Green Alternative)
To:	"lika.pkhovelishvili@eiec.gov.ge"
Cc:	"INFO EIEC"
Subject:	შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სკოპინგის ანგარიშის საჯარო ჯარო განხილვის აუდიოჩანაწერის მოთხოვნის თაობაზე
Date:	ორშაბათი, 09 ოქტომბერი, 2023 13:24:00
Attachments:	image002.png

გთხოვთ, დამიდასტუროთ წერილის მიღება.

№ 23/09/03-121
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირს
ქალბატონ ლიკა ფხოველიშვილს

ქალბატონო ლიკა,

გთხოვთ, გადმოგვცეთ 2023 წლის 5 ოქტომბერს ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ქ. ჭიათურაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები.

გთხოვთ, გვაცნობოთ თუკი მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართული
ტელ.: (+99532) 222 38 74
www.greenalt.org

**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

17 ოქტომბერი 2023

N 01/1/2624

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“
აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი მოთხოვნის პასუხად, რომელიც შეეხება 2023 წლის 5 ოქტომბერს ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ქ. ჭიათურაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერების გადმოცემას გაცნობებთ, რომ საჯარო განხილვის პროცესს წარმართავს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (შემდგომში ცენტრი) და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი. საჯარო განხილვის სხდომის აუდიო ჩაწერა ხორციელდება ოქმის სისწორის უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო საჯარო განხილვის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში დგება საჯარო განხილვის შესახებ ოქმი. საჯარო განხილვაში მონაწილე პირს უფლება აქვს, გაეცნოს ოქმს და გაცნობიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შენიშვნები მის თაობაზე, მიუთითოს მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობა. თუ ადმინისტრაციული ორგანო ეთანხმება შენიშვნას – ადასტურებს მის სისწორეს, ხოლო თუ არ ეთანხმება – გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შენიშვნის უარყოფის შესახებ, რომლის გასაჩივრება შესაძლებელია ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ქ. ჭიათურაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების სხდომების ოქმებს და გაცნობებთ, რომ ოქმების გაცნობიდან 3 დღის ვადაში უფლება გაქვთ წარადგინოთ შენიშვნები.

დანართი: 17 (ჩვიდმეტი) გვერდი.

პატივისცემით,

ეკატერინე ბენდელიანი



ცენტრის დირექტორი - მ.შ.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

From:	Nino Gujaraidze (Green Alternative)
To:	"INFO EIEC"
Cc:	"ლიკა ფხოველიშვილი"
Subject:	შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის აუდიოჩანაწერის მოთხოვნის თაობაზე
Date:	ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, 2023 17:46:00
Attachments:	image002.png image004.png

გთხოვთ, დამიდასტუროთ წერილის მიღება.

№ 23/09/03-122

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მ.შ.
ქალბატონ ეკატერინე ბენდელიანს

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ
გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირს
ქალბატონ ლიკა ფხოველიშვილს

ქალბატონო ეკატერინე,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი 2023 წლის 17 ოქტომბრის N01/1/2624 წერილით მოწოდებული ინფორმაციისათვის, თუმცა როგორც მოგეხსენებათ ჩვენი 9ოქტპბრის წერილით ვითხოვდით საჯარო განხილვის აუდიოჩანაწერს და არა ოქმს, რომელიც თქვენი წერილით გადმოგვეცა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის: ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს.

ჩვენს მიერ მოთხოვნილი აუდიოჩანაწერი არის საჯარო უწყებაში დაცული საჯარო ინფორმაცია და ჩვენი უფლებაა მისი მოთხოვნა. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მოვალეობაა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა; ხოლო ჩვენი მოთხოვნის შეცვლა სცილდება ცენტრის უფლებამოსილებას.

აქვე მოგახსენეთ, რომ შესაძლოა ცენტრის თანამშრომლები ჩანაწერს თქვენს მიერ მითითებული მიზნით აკეთებენ, მაგრამ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო განხილვის წესის მიხედვით, „ცენტრის/დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენელი (წარმომადგენლები) **უზრუნველყოფს** საჯარო განხილვის სხდომის აუდიოჩაწერას, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში – მის ვიდეოგადაღებას“. ეს არ არის ცენტრის წარმომადგენელის კეთილი ნება და/ან ოქმის შედგენის გაადვილების შესაძლებლობა. აუდიოჩანაწერი დაცული უნდა იყოს უწყებაში, როგორც საჯარო ინფორმაცია და მოთხოვნის შემთხვევაში ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ნებისმიერი სხვა საჯარო ინფორმაცია.

ამასთანავე, ყოველივე ზემოაღნიშნული გარეშეც, გაუგებარია რა შეიძლებოდა გამხდარიყო **საჯარო** განხილვის ჩანაწერის მოუწოდებლობის მიზეზი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ჩვენი ა.წ 9 ოქტომბრის #23/09/03-121 წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემა.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართული
ტელ.: (+99532) 222 38 74
www.greenalt.org

From: INFO EIEC <info@eiec.gov.ge>
Sent: Tuesday, October 17, 2023 4:27 PM
To: Nino Gujaraidze (Green Alternative) <ngujaraidze@greenalt.org>
Cc: ლიკა ფხოველიშვილი <Lika.Pkhovelishvili@eiec.gov.ge>
Subject: RE: [BULK] შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის აუდიოჩანაწერის მოთხოვნის თაობაზე

მოგესალმებით,

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში გიგზავნით პასუხს თქვენს მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ წერილის მიღება.

პატივისცემით,

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზ. 32გ, 0159, თბილისი
(+995 322) 112023
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

From: Nino Gujaraidze (Green Alternative) <ngujaraidze@greenalt.org>
Sent: Monday, 09 October, 2023 13:24
To: ლიკა ფხოველიშვილი <Lika.Pkhovelishvili@eiec.gov.ge>
Cc: INFO EIEC <info@eiec.gov.ge>
Subject: [BULK] შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სკოპინგის ანგარიშის საჯარო ჯარო განხილვის აუდიოჩანაწერის მოთხოვნის თაობაზე

გაფრთხილება: თქვენ მიიღეთ გარე ორგანიზაციის/პირის მიერ გამოგზავნილი ელექტრონული წერილი. ბმულზე გადასვლამდე ან ფაილის გახსნამდე გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ ელ-ფოსტის მისამართი სანდოა.

გთხოვთ, დამიდასტუროთ წერილის მიღება.

**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

01 ნოემბერი 2023

N 01/1/2811

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას"
აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში შემოსული წერილის პასუხად, რომელიც ეხება 2023 წლის 5 ოქტომბერს ქ.ჭიათურასა და სოფელ ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის" ქ. ჭიათურაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერების მოთხოვნას, გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების სფეროს განეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურები. აღნიშნული კოდექსის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის N 2-94 ბრძანებით შემუშავდა და დამტკიცდა „საჯარო განხილვის წესი", რომელიც ადგენს საჯარო განხილვის ჩატარების, მასში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან განსხვავებულ სპეციალურ წესებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის N 2-94 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო განხილვის წესის" მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ფარგლებში საჯარო განხილვის ოქმის გამოთხოვის და მასზე შენიშვნების წარმოდგენის შესაძლებლობას, ხოლო საჯარო განხილვის აუდიო-ჩაწერა ხორციელდება ოქმის შედგენის უზრუნველსაყოფად.

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

20 ნოემბერი, 2023
№ 23/02-404

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ოთარ შამუგიას

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“
ს/კ 204952676

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული მოქმედება: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01/1/2624 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას” 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 განცხადების მოთხოვნა შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის აუდიოჩანაწერის გადაცემის თაობაზე და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა, განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას” 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადების მოთხოვნა შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის აუდიოჩანაწერის გადაცემის თაობაზე.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა: გაუქმდეს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01/1/2624 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას” 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 განცხადების მოთხოვნა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას” 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გადაცემის თაობაზე; და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს დაევალოს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 და 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემა.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ 2023 წლის 9 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს და მოითხოვა - 2023 წლის 5 ოქტომბერს ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ქ. ჭიათურაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის წერილით (გადაწყვეტილება) განმცხადებელს ეცნობა, რომ საჯარო განხილვის სხდომის აუდიო ჩაწერა ხორციელდება ოქმის სისწორის უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო საჯარო განხილვის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში დგება საჯარო განხილვის შესახებ ოქმი. „მწვანე ალტერნატივას“ გადაეცა ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ქ. ჭიათურაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების სხდომების ოქმები და ეცნობა, რომ ოქმების გაცნობიდან 3 დღის ვადაში უფლება აქვს წარადგინოს შენიშვნები.

2023 წლის 17 ოქტომბრის წერილიდან ნათელია, რომ ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გადაწყვიტა მოთხოვნილი აუდიოჩანაწერების ნაცვლად ორგანიზაციისათვის საჯარო განხილვის ოქმები გადაეცა.

მტკიცებულება:

დანართი №1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 წერილი.
დანართი №2. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა, განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01/1/2624 წერილი (გადაწყვეტილება).

2. “მწვანე ალტერნატივამ“ 2023 წლის 19 ოქტომბერს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს აცნობა, რომ 2023 წლის 9 ოქტომბრის წერილით ითხოვდა საჯარო განხილვის აუდიოჩანაწერს და არა ოქმს, რომელიც გადაეცა და მოითხოვა 2023 წლის 5 ოქტომბერს ქ. ჭიათურასა და სოფ. ზოდში ჩატარებული საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერების გადაცემა.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის №01/1/2811 წერილით (გადაწყვეტილება) „მწვანე ალტერნატივას“ ეცნობა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით შემუშავდა და დამტკიცდა „საჯარო განხილვის წესი“, რომელიც ადგენს საჯარო განხილვის ჩატარების, მასში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან განსხვავებულ სპეციალურ წესებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო განხილვის წესის“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ფარგლებში საჯარო განხილვის ოქმის გამოთხოვის და მასზე შენიშვნების წარმოდგენის შესაძლებლობას, ხოლო საჯარო განხილვის აუდიო-ჩაწერა ხორციელდება ოქმის შედგენის უზრუნველსაყოფად. სსიპ გარემოსდაცვითი

ინფორმაციისა, განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 ნოემბრის წერილით (გადაწყვეტილება) განმცხადებელს არ გადმოეცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. თუმცა, ცენტრის დირექტორის განმარტებიდან ნათელია, რომ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დაცულია საჯარო უწყებაში.

მტკიცებულება:
დანართი №3. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-121 წერილი;
დანართი №4. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის №01/1/2811 წერილი (გადაწყვეტილება).

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:
1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომელიც არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობას დაქვემდებარებული სსიპ - წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი).

მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი) ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, რომელიც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობაში, მის მიერ საჯარო უფლებამოსილების კანონდარღვევით განხორციელებაში, რაც სზაკ–ის 5.1 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია.

3. სზაკ-ის 177.3 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მაშასადამე, ადმინისტრაციული ორგანოს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ საჩივრდება სზაკ-ის მე-13 თავით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული საჩივრის უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის გზით.

4. მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - ჭიათურაში არსებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო

განხილვების აუდიოჩანაწერები - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის მ) ქვეპუნქტის თანახმად, არის საჯარო ინფორმაცია. ხოლო, ამავე კოდექსის 42-ე მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს.

ჩვენს მიერ მოთხოვნილი აუდიოჩანაწერი არის საჯარო უწყებაში დაცული გარემოსდაცვითი საჯარო ინფორმაცია და ჩვენი უფლებაა მისი მოთხოვნა. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მოვალეობაა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა; ხოლო ჩვენი მოთხოვნის შეცვლა სცილდება ცენტრის უფლებამოსილებას.

5. მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - ჭიათურაში არსებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები - „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია და კონვენციის პირველი, მესამე და მეოთხე მუხლების თანახმად, შეუფერხებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

საგანგაშოა, რომ ამ ინფორმაციის გადმოცემაზე უარს სწორედ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ამბობს, რომელიც დებულების თანახმად, თავის საქმიანობაში ეყრდნობა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის პრინციპებს; და მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა ვებგვერდისა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების (ელექტრონული, ბეჭდური, სატელევიზიო და სხვა) გზით.

6. მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - ჭიათურაში არსებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები - „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია და ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სრულად და დროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

7. მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - ჭიათურაში არსებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების აუდიოჩანაწერები - საქართველოს კონსტიტუციის 17.2, 18.2 და 29.1 მუხლების თანახმად, დაუბრკოლებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო განხილვის წესის მიხედვით, „ცენტრის/დამგეგმავი

ორგანოს წარმომადგენელი (წარმომადგენლები) უზრუნველყოფს საჯარო განხილვის სხდომის აუდიოჩაწერას, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში – მის ვიდეოგადაღებას“. ეს არ არის ცენტრის წარმომადგენელის კეთილი ნება და/ან ოქმის შედგენის გაადვილების შესაძლებლობა, როგორც ამას ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და დირექტორი ამტკიცებენ - აუდიოჩანაწერის ამგვარ დანიშნულებაზე არავითარი მითითება საჯარო განხილვის წესში არ არის. აუდიოჩანაწერი დაცული უნდა იყოს უწყებაში, როგორც საჯარო ინფორმაცია და მოთხოვნის შემთხვევაში ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ნებისმიერი სხვა საჯარო ინფორმაცია.

9. ასევე, გაუგებარია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პროცედურებისაგან განსხვავებულობაზე მითითება. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანაწესი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსთან შეუსაბამობის შემთხვევაში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის გამოყენების უპირატესობაზე ვერანაირად ვერ შეზღუდავს ჩვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9. მუხლში - „გზშ-ის პროცესში სკოპინგის დასკვნის გაცემა“, აღნიშნულია: „სააგენტო ამ მუხლით დადგენილი წესით იხილავს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადებასა და სკოპინგის ანგარიშს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილ წესთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ნორმები“.

პირველ რიგში, არ არსებობს ამგვარი შეუსაბამობა; მეორეს მხრივ კი, საგანგაშოა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამ დათქმის იმგვარად მცდარ ინტერპრეტაციას გვათავაზობს, რომელიც შეზღუდავდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება უკანონოა.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა (გასაჩივრებული ქმედება (რეალაქტი) ანუ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თარიღია: 2023 წლის 17 ოქტომბერი და 2023 წლის 1 ნოემბერი, ხოლო წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია 2023 წლის 20 ნოემბერს) არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში, რის საფუძველზეც გთხოვთ:

1. მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;

2. განიხილოთ ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირის აუცილებელი მონაწილეობით;

3. გაუქმდეს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის №01/1/2624 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 განცხადების მოთხოვნა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გადაცემის თაობაზე;

4. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს დაევალოს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 9 ოქტომბრის №23/09/03-121 და 19 ოქტომბრის №23/09/03-122 განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემა.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 9 ოქტომბრის № 23/09/03-121 წერილი - 1 ფურცელი;
2. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 17 ოქტომბრის № 01/1/2624 წერილი (გადაწყვეტილება) – 2 ფურცელი;
3. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 19 ოქტომბრის № 23/09/03-122 წერილი - 2 ფურცელი;
4. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ნოემბრის წერილი - 2 ფურცელი;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
6. რწმუნებულება - 2 ფურცელი.

სულ დანართი: 11 ფურცელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

01 დეკემბერი 2023

N 9553/01

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს
წარმომადგენელს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

მის: ქ. თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ: (+99532) 222 38 74
ელ-ფოსტა:greenalt@greenalt.org

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსულ თქვენს 2023 წლის 20 ნოემბრის N41436 (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 2023 წლის 17 ოქტომბრის N01/1/2624 და 1 ნოემბრის N01/1/2811 წერილების გაუქმებას და საჯარო ინფორმაციის გადაცემის დავალებას, განგიმარტავთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი ეს არის „დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემას“.

ამასთან, კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი“.

თქვენს მიერ გასაჩივრებულია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ წარმოადგენს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ცენტრი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არის საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია,

რომელიც სახელმწიფოს კონტროლის დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, რომლის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებიც განსაზღვრულია კანონით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო არ არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო განიხილოს თქვენი ადმინისტრაციული საჩივარი, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, 2023 წლის 17 ოქტომბრის N01/1/2624 და 1 ნოემბრის N01/1/2811 წერილების, გაუქმებას და საჯარო ინფორმაციის გადაცემის დავალების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილების გათვალისწინებით, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე